# გუთნის-დედა

## სამეურნეო გაზეთი

გაზეთის ფასი:

ყველგან გაგზავნით ორი მანეთი.
გაუგზავნელად—ექვსი აბაზი.
თითო ნომრის ფასი ერთი შაური.

**გამოდის თვეში ორჯერ.**

ხელის-მო-წერა მიიღება

თფილისში ე. ხელაძის სტამბაში

*Въ Тифлисъ, въ типографіи **Е. Хеладзе**, на Ханской улицѣ, въ домѣ Бебутова.*

**№ 23** **III** **15** დეკემბერი. **1875** წ.


შ ი ნ ა ა რ ს ი

განცხადება „გუთნის-დედის“ გამოსვლაზე.—რა შემოსდის გლეხკაცს მამულიდამ? —მწველელი ძროხების ნიშნები.—ხელოვნურად გაპატივება მიწებისა.—განცხადება.

# განცხადება

### „გუთნის-დედის“ გამოსვლაზე

სამეურნეო გაზეთი „გუთნის-დედა“ 1876 წელს გამოვა თვეში ორჯელ თითო დაბეჭდილი თაბახი. ის იქნება სპეციალური საკუთარი ორგანი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა ქართულს ენაზედ გასავრცელებლად სამეურნეო ცნობათა ქართველთა საზოგადოებაში.

ამ გაზეთის პროგრამმას შეარდგენს სამი ნაწილი

პირველს ნაწილში იქნებიან: 1) ოფიციალური განკარგულებანი, რომელნიც შეეხებიან სასოფლო მეურნეობას; 2) განცხადებანი სამეურნეო და ალებ-მიცემითი გამოფენაზედ და 3) რომელთამეა აზრთა და დაწყობილებათა განკარგულება სამეურნეო საზოგადოების რჩევის პროტოკოლიდამ.

მეორე ნაწილში იქნებიან: 1) გამდაბიურებული (პაპულიარული თარგმანები და ორგინალური სტატიები), რომელნიც შეეხებიან ჩვენი სოფლის მეურნეობას; 2) გამდაბიურებული ბაასები კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა: 3) სტატიები შესახებ იმგვართა ამხანაგობათა, რომელნიც შეეხებიან ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესობას და ალებ-მიცემობას (**промышленности**).

მესამე ნაწილში იქნებიან: 1) ახალი მოგონებანი და მოპოვებანი შესახებ მეურნეობისა, რომელნიც გამოდგებიან ჩვენი ქვეყნისათვის; 2) გამდაბიურებული ცნობანი გამოფენაზედ ჩვენის მეურნეობის გამოსაყენებლად; 3) კორრესპონდეციები ჩვენი მაზრებიდამ შესახებ ჩვენის მეურნეობისა.

ფასი წელიწადში ყოველგან გაგზავნით ორი მანეთი, გაუგზავნელად ექვსი აბაზი, თითო ნომრის ფასი ერთი შაური.

ხელის მომწერთ შეუძლიანთ ეს გაზეთი მოითხოვონ ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ, на Ганской улицѣ въ домѣ Бебутова, при типографіи Еф. Хеладзе.**

## რა შემოსდის გლეხს მამულიდამ?

### V

ჩვენ განვიხილეთ გლეხის სიღარიბე; ახლა განვიხილოთ მიზეზი იმის სიღარიბისა.

არიან ჩვენში იმისთანა ვაჟბატონები, რომლებიც არ იკვლევენ ხეირიანად საქმეს და გლეხკაცობის სიღარიბეს აწერენ იმათ სიზარმაცეს.

მაგრამ ეს იმათი ცილისწამება არაფერს არა ჰგავს. მაშ ვინ შრომობს თუ არა გლეხკაცი? პირიქით, ჩვენ კიდეც უნდა გვიკვირდეს, რომ ცუდი სმა და ჭამის მქონი გლეხი ამდენს მუშაობს. დამტკიცებულია, რომ მუშა კაცს კარგი სმა და ჭამა უნდა ჰქონდეს, რომ მოიკრიბოს ძალა და მისცეს ორგანიზმს (სხეულს) ის, რაც იმან დახარჯა შრომის დროს. უამისოდ ის დროს განმავალობით დაუძლურდება და თავის უნებურად უნდა იზარმაცოს. მაგრამ საწყალი გლეხი არ აძლევს თავის თავს სიზარმაცის ნებას; საჭიროება იძულებულ ჰყოფს მას იმუშაოს ქანც გაწყვეტამდის.

თუ არ დაგიშლიათ, სიზარმაცე კი არ არის მიზეზი გლეხ-კაცის სიღარიბისა, არამედ არის იმისი გაუნათლებლობა. ჩვენი გლეხი ჭკუით არა მუშაობს იმის მეურნეობა უფრო მტაცებლობითი მეურნეობაა (**хищническое хозяйство**), რისაგამოც მიწა თან-და-თან უძლურდება და ულონოვდება და აღარ მოჰყავს კარგი მოსავალი.

თუ ამ ნაირად მამულის შემუშავება კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მოვა იმისთანა დროც, როდესაც მამული თავნსაც აღარ მოიცემა, თორემ სარგებელს ვიღა ინაღვლის. და არ შეიძლება რომ ასე არ მოხდეს, ამისათვის რომ გლეხ-კაცი სთესავს პურს და იმას აღარა ფიქრობს, რომ მცენარე თავის საზრდოს იღებს მიწიდამ და თუ მცენარისაგან შეთვისებული ნაწილები ისევ არ დაუბრუნდა მიწას, ის მეორედ და მესამედ ისეთ მოსავალს აღარ მოიცემა, როგორსაც პირველად.

მაგრამ ან რით გააპატიონ მამულები, რომ პატივი არა აქვთ, თორემ გაქვთ ღვთის წყალობა, რომ გლეხებმა პატივის ფასი იციან. არა აქვთ პატივი იმისთვის, რომ არა ჰყავთ საქონელი; არა ჰყავთ საქონელი კიდევ იმისოვის, რომ არა აქვთ საძოვრები, და რაც საქონელი კი ჰყავს გლეხს, საძოვრების უქონლობის გამო, ისეთი მჭლე და გამხდარია, რომ ისინი კარგ პატივს არასდროს არ მოიცემიან.

### VI

მაგრამ გლეხი რაც უნდა გაუნათლებელი იყოს, რაც უნდა გონივრულად არ იცოდეს მიწის შემუშავება, ის მაინც იმდენს მოსავალს მოიყვანს, რომ თვითონ გაუჭირვებლივ იცხოვრებს. მაგრამ ეხლა გაჭირვებულია იმისთვის, რომ იმას თავის შრომა მარტო თვითონ არ ეკუთვნის. ამის შრომით იმდენმუქთად მჭამლები და მცარცველები სცხოვრობენ, რომ სახელი მათი ლეგიონი არის.

როცა გლეხკაცს უჭირდება ფული, ის იძულებული ხდება მიიქცეს ერთი თავის მცარცველისადმი და ესესხოს ფულს; და ეს უკანასკნელიც სარგებლობს გლეხის გაჭირვებული მდგომარეობით და ყიდულობს იმისგან მომავალი წლის მოსავალს, რომლის ფასი არც კი იციან რა იქნება.

მაგ. ვაჭარი აძლევს გლეხს სესხად ხუთ მანეთს, და ამაში ოთხი კოდი პურის ვექსილს უწერს; მოხდება, რომ მეორე წელიწადს ისეთი ცუდი მოსავალი მოვა, რომ კოდი პური სამ მანეთად ეღირება და გლეხკაცს კი არ მოუვა მოსავალი, რომ გადიხადოს ვალი. ამითი სარგებლობს ვაჭარი, კოდს სამ მანეთად უანგარიშებს და დაუწერს თამასუქს.

აი ამისთანა შემთხვევებიდამ მოხდება ხოლმე, რომ ხუთი მანეთი ათი წლის განმავალობაში ორმოც და სამოც თუმნად იქცევა ხოლმე.

აი ვინ არიან მიზეზნი გლეხ კაცის სიღარიბისა და ზოგიერთები კი მალიმალ გაიძახიან: ამა და ამ ალაგას რომ გლეხები არ დამთვრალიყვნენ და დალეული ღვინო გაუღიდათ, მაშინ ისინი ან ვისიმე ვალს მოიშორებდნენ და ან ბანკებს გაიმართავდნენო. არა, ბარემ ასე სთქვათ: გლეხები რომ

პურს არა სჭამდნენ და ღვინოს არა სვამდნენ და მთლად თავის ღვინო—პურის მოსავალს ჰყიდნენ, მაშინ ალარც ვალები ემართიებათ და ბანკებსაც დაიმართავდნენ! ბატონებო, ესენი ათასში ერთხელ ითრობიან, მაგრამ ამათი მცარცველები რომ ყოველ დღე კარგსაცა სვამენ და სჭამენ და უფრო ბევრჯელაც ითრობიან, რატომ ღარიბები არ არიან? განა, მკითხველო, აქ სხვა რაღაც უნდა იყოს მიზეზი გლეხის სიღარიბისა? აბა გამოიცან...

ამისთანა სამწუხარო და სატირალ მდგომარეობისაგამო, გლეხები იმის მაგივრად, რომ დროს განმავალობით შეიქმნენ სასარგებლო წევრნი სახელმწიფოსი, ისინი უფრო და უფრო იმის ტვირთნი ხდებიან; ნაცვლად იმისა, რომ შეადგენდნენ იმის ძალას, ისინი ხდებიან მიზეზნი იმის სისუსტისა.

## VII

ეს ყველა ასე, მაგრამ რითი შეიძლება იმათი ამ მდგომარეობიდამ გამოყვანა? ზოგიერთები ბანკებიდამ და სასოფლო მალაზიებიდამ მოელიან დიდ შველას; მაგრამ ეს ტყუილი იმედია. ამ დაწესებულებმა დროებით იქნება ცოტა რამ სარგებლობა მოუტანოს, მაგრამ სამუდამოთ და ძირიანათ ცხოვრების გაუმჯობესობა კი არ შეუძლიანთ.

შკოლებსაც შეუძლიანთ დაეხმარონ ხალხის ამ მდგომარეობიდამ გამოყვანას; მაგრამ როდის? სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო. სანამ შკოლები აღზრდიან იმისთანა ახალ თაობას, რომელიც გაიგებს თავის სიღარიბის მიზეზებს და დაიწყებს იმათ თავიდამ აცილებას, მანამდის ხალხს თავისი დაემართება: იგი გადაგვარდება ზნეობით, გონებით და ფიზიკურად. ეხლა ხალხი კიდევ ისე არ არის დაცემული, რომ მათზედ მოქმედება არ შეიძლებოდეს; მაგრამ ათი-თხუთმეტის წლის შემდეგ კი აღარ შეიძლება, რადგან ზნეობით და გონებით უკანასკნელ წერტილამდინ იქნება დაცემული.

ამისათვის ყველა პატიოსანი და ნამდვილად ხალხის მოყვარული კაცი ეხლავე უნდა ცდილობდეს დააგონოს ხალხს, რომ დროით აიცილოს მან თავის სიღარიბის და სილატაკის მიზეზები.

მაგრამ კიდევ გაგიმეორებ მკითხველო, რომ ბანკებისა, მაღაზიებისა და შკოლების გამართვით ამ სიღარიბის მიზეზების თავიდამ აცილება დროით არ შეიძლება. მაშ რით შეიძლებაო, მკითხავ შენ? მე გეტყოდი ამას, მაგრამ პედაგოგები ამბობენ, რომ ის ჰაზრი და ჭეშმარიტება უფრო ძრიელ უჯდება კაცს ძვალ-რბილში და ცდილობს იმის აღსრულებასაო, რომელსაც თვითონ თავის თავად გაიგებსო; მე სრულიად ვეთანხმები ამაში პედაგოგებს. მაშ აბა გაიგე,—რა უფრო მალე გამოიყვანს ხალხს სიღარიბიდამ?...

---

## მწველელი ძროხის ნიშნები

ერთმა სწავლულმა გამოსცა წიგნი: «ამორჩევა მწველელი ძროხებისა, ანუ აღწერა ყველა ნიშნებისა, რომლებითაც იცნობებიან კარგი მწველელი ძროხები» ამ თხუზულებაში კარგი მწველელი ძროხის ნიშნები არიან შემდეგნი:

**1.** ჯიში;

**2.** მონსანელებელი და სასუნთქი ორგანები;

**3.** გარეგანი შეხედულობა, აგებულობა და ზნე,

**4.** პირობანი და გარემოებანი, რომლების განვლენის ქვეშაც აღიზარდნენ ძროხები და რიცხვი ნასადი სნეულებებისა.

### საზოგადო ნიშნები

**1**) ჯიში. მწველელი ძროხები ყველა ჯიშის ძროხებში მოიპოებიან; ზოგში ბევრი და ზოგში ცოტა. მეწველობა დამოკიდებულია

ჰაერსა, ნიადაგსა და იმ ბალახებზედ, სადაც და რომლითაც აღიზარდა ძროხა. მაშა სადამე მეწველობა სხვა და სხვა ნაირია. ზოგი ბევრს იწველის და ზოგი ცოტას

კარგ მეწველ ძროხებს აქვსთ რბილი ტყავი, უკანა ტანი არა აქვთ ხორციანი; იგინი ვერ იტანენ დაღალვას და იშვიათად სუქდებიან. ყველა ეს თვისებანი ბევრად თუ ცოტად გადადის დედისგან შვილზედ, და ამისთვის ძროხების ყიდვის დროს უნდა ვიქონიოთ სახეში ამოირჩიოთ ისეთი ძროხები, რომლებიც კარგი მეწველელი ჯიშისანი არიან. ძროხა, რომელიც არ არის კარგი მეწველელი ჯიშისა, საქონლის მოსაშენებლად არას დროს არ უნდა ამოირჩიოთ, რადგანაც ის კარგი ჯიშის საქონელს არ გააჩენს და არ გადასცემს შვილს თავის საუკეთესო თვისებათა; მაშინ როდესაც კარგი მეწველელი ჯიშის ძროხა კი მოიგებს კარგი ჯიშის საქონელს და გადასცემს ყველა თავის კარგ თვისებაებს.

გარდა ძროხებისა ბუღებიც კარგი ჯიშისანი უნდა იყვნენ, რადგანაც დამტკიცებულია, რომ შთამამავალზედ იმათაც დიდი განვლენა აქვთ.

## 2) მოსანელებელი და სასუნთქებელი ორგანები

ამ ორგანებს (სხეულის ნაწილებს) აქვსთ დიდი განვლენა ძროხის მეწველელობაზედ. ძროხები, რომლებიც კარგად ვერ ინელებენ საჭმელს, იძლევიან ცოტა რძეს. მოსანელებელი ორგანების წაუხდენელობის ნიშნები არიან შემდეგნი: მუცელი არა აქვსთ დიდი პირი, დიდი აქვთ, ღონიერი და სქელი ტუჩები, საჭმლის მალე და ადვილად მონელება, ბზინვარე ბეწვი, რბილი ტყავი. ამ ნიშნების ძროხები სჭამენ ბევრს და თუ კარგი მოვლა ექნებათ ბევრსაც მოიწველიან.

## 2) გარეგანი, შეხედულობა, აგებულება და ზნეობა

მეწველელ ძროხებში ლამაზი შეხედულობის ძროხები იშვიათები არიან. მეწველელი ძროხის ამორჩევის დროს სილამაზეს არ უნდა უყუროთ. მეწველ ძროხებს უკანა ტანი სრული აქვთ, მაგრამ ხორცი კი არ შეეხამება ძვლებს, რომლებიც გარედამ სჩანს.

თუ რომ ხერხემალი ორათ აქვს ძროხას გაყოფილი, წიბოები სხვილი, ფერდები ერთი ერთმანეთზედ მოშორებული, ზურგი განიერი, მაშინ უკანა ტანი უფრო სრული ექნება და ძუძუებიც სხვილები ექნება.

სანატრელია, რომ მყიდველები მეწველობის გარდა, ძროხის მაგარს აგებულებასაც აქცევდნენ ყურადღებას. ნიშნები არიან შემდეგნი: განიერი და გამოვარდნილი გული, უდიდმუცლობა, ნელ-ნელა სუნთქვა, კარგი მადა და წყლის მალ-მალე დალევა, რომელიც მოხდება ბლომად რძის მოწველის შემდეგ. ამ პირობებში ძროხები ბევრსა სჭამენ, კარგად ინელებენ საჭმელს და სუნთქავენ თავისუფლად. ამ ნაირი ძროხები დიდხანს და ბევრს რძეს იძლევიან, და ბოლოს მალე სუქდებიან.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ძროხას აქვს ჩავარდნილი ფერდები, ვიწრო გული, საჭმელს კარგათ ვერ ინელებს, ცუდი მადა აქვს და მეტის-მეტს წყურვილს გრძნობს. ეს ნიშნები მოასწავებენ იმას, რომ ძროხა არ არის მაგარი აგებულებისა; თუმცა ამ ნაირი ძროხები ხშირად ბევრს რძეს იძლევიან, მაგრამ მომეტებულად წყლიანია და არც გემრიელია.

ამ ნაირი ძროხები ბევრს ხბორებს არ გააჩენენ, თუმცა მალ-მალე ახურდებიან ხოლმე. ამასთან ძნელათაც სუქდებიან, თუ გინდ რომ საღიც იყოს და არცა სწველამდეთ.

### 4) ჰიგიენური პირობანი, რომლის განვლენის ქვეშაც აღიზარდნენ ძროხები, ხნიერება და ავათ მყოფობანი, რომლებსაც ნახდები არიან

ძროხები დაბადებულნი ზომიერ და რამდენათმე გრილს ჰაერში, რომლებსაც აქვთ კარგი მოვლა და ნოყიერი საჭმელი, ჩვეულებრივ იძლევიან ბევრს რძეს და ამასთანავე კარგი ღირსებისას.

ძუძუები, როგორც ყველა სხვა ორგანებიც, იმდენი უფრო სრულდებიან, რამდენსაც იგინი ვარჯიშობაში არიან. ძროხები ყველაზედ ბევრს რძეს იძლევიან მაშინ, როდესაც ისინი რამდენსამე ხბოს გამოჰკვებავენ ანუ როცა თავის რიგზედ და დიდხანს სწველამენ პატრონები.

ამის გამოისათ არ არის კარგი ხუთი ანუ ექვსი წლის ძროხების ყიდვა, ამისათვის რომ ამ ხნაში კარგ ძროხებს ძნელათ თუ გაჰყიდის ვინმე.

მოწველას ძროხებზედ ბევრ ნაირად აქვს განვლენა; ბევრნი კი დაბეჯითებით ამბობენ რომ მოწველას რძეზე ცუდი განვლენა აქვს. ისინი ამბობენ, რომ ძუძუები, რომლებიც მოდიან მოქმედებაში ხბოს პირით, იპყრობენ იმ ძუძუებზედ ბევრს რძეს, რომლებიც ხელით იწველებიან. მართლაც, სასიამოვნო სითბო და ნერწყვიანობა პირისა, ოდნავ გამოწევა ძუძუებისა და ძრიელად გამოწოვა, რომელიც მოხდება ხბოსგან, რძის მჭერობნი ასოები უფრო მოჰყავს მოქმედებაში, სინამ ტლანქსა და გაუვარჯიშებელს მომწველის ხელს; მაინც არ შეიძლება დავთანხმდეთ, რომ ამ გარემოებას ასე დიდი გავლენა ჰქონდეს, როგორც ზოგი ერთნი ფიქრობენ.

ავათმყოფობებს ხშირად აქვსთ დიდი განვლენა, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ავნებენ სასუნთქელ და მოსანელებელ ორგანებს. როგორც მაგალითად ფილტვს, კუჭს, ნაწლევებს, საშვილოსნოს და სხვა. ამ შემთხვევაში ძროხა ცოტას მოიწველის და ამასთანავე თხელს და უგემურს.

ადგილობრივი ავათმყოფობანი ჰმართებენ ძროხებს ტკივილს და უშლიან მათ საძოვარზედ გასვლას, ჭამას და რძესაც აკლებინებენ, თუ გინდ რომ ავათმყოფობამ უპირველესი აგებულების ნაწილებს ბევრი არა ავნოსრა. მაგრამ განსაკუთრებით ცუდი გავლენა აქვს მწველელობაზედ ჯიქნის ავათმყოფობას.

ჯიქანის ავათმყოფობა ადვილად გაიგება, ამისათვის რომ ავათმყოფი ადგილები ან ძრიელ მაგარი არიან და ან ძრიელ ჩვილები, ან ძრიელ სხვილები და ან გამხდრები და ხანდისხან ხელის შეხებით გრძნობენ სიმტკივნეს. აგრეთვე ძუძუებიც ავათმყოფობისაგან ან ძრიელ მაგრები იქნებიან და ან ძრიელ ჩვილები, რძეც ისე ადვილად და თავის უფლად აღარ გამოსდით, როგორც წინაპირველად.

## კერძო ნიშნები.

კერძო მწველელი ძროხის ნიშნები არიან შემდეგნი:

1) ჯიქანი. ეს ასო მომეტებულად ძუძუებისგან შესდგება. ყველა ძუძუს თავის დაკვალად შესაფერი ჯიქნის ალაგი უჭირავს.

თიქმის ყველა ძროხების რძის სიუხვე შეეფერება ძუძუებს, რომლების რძიანობაც გაიგება შემდეგი ნიშნებით: მომეტებული სისრულე ძროხის უკან ტანისა, წელის განივრობა; უკანა ფეხების განი-განზედ დაჭერა, რისაგამოც ჯიქანი ადვილათ და თალსნათ მოთავსდება, კარგად დასრულებული ძუძუები, რომლებიც უმატებენ ჯიქანს სისრულეს.

ჯიქნის გაშინჯვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოთ იმის ბუნებას: სისრულე ჯიქანისა ხომ არ წარმოსდგება სქელი ტყავისგან, მომეტებული ქონისგან ანუ ძუძუების სისრულისაგან. კარგ ძროხაზედ ძუძუები შეადგენენ ჯიქნის ნაწილს, ამისათვის შემდეგ მოწველისა ის პატარავდება, ჩვილდება და ისმუჭნება,

მსუქანი ჯიქანის ყველა ადგილები ერთნაირათ არის კვრივი და ისე მაგარი, რომ ხელი რომ დაჭიროთ არაფერი ნიშანი არ დაეტყობა; იმის სისრულე და სიკვრივე მოწველის შემდეგაც არ იცვლება.

ბევრნი აქცევენ ყურადღებას ჯიქნის და ძუძუების ფორმას და არჩევენ მაგალითებრ იმისთანა ძროხებს, რომლებსაც ძუძუები წინ აქვთ მაღლა გაბზეკილები, რისაგამოც ისინი მუცელზე მიკრულებსა ჰგვანან. მაგრამ ამ ნიშანს არ უნდა მიაქციოთ დიდი ყურადღება, რადგანაც კარგი ძროხებს ძუძუები ბევრჯელ პირ და პირ აქვთ ხოლმე დაკიდებულები; განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციოთ ჯიქნის სიდიდეს და იმის თვისებაებს. ის უნდა იყოს სრული, მაგრამ სუქანი კი არა. თუ ასეთი ჯიქანი აქვს ძროხას, მაშინ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ძროხა მწველელი იქნება.

გამყიდველები, რომ ძროხა კარგად აჩვენონ მყიდველებს, უხვევენ ძუძუებს და აღარა სწველავენ, მაგრამ ამას ცუდი შედეგი მოსდევს. ძროხა დიდი ხნის მოუწველელია თუ არა, დამტკიცდება შემდეგი ნიშნებით: ჯიქანი მაგარია, ძუძუები გამხმრები, დასიებულები, ხშირად აგრძნობინებენ ტკივილს და გამოსდით რძე ხელის შეუხებლად.

### 2) სისხლის მოსაქცევი ძარღვები (Вены)

მწველელი ძროხის გასაგებად ყველა ნიშნებზედ საუკეთესო ნიშნები არიან სისხლის მოსაქცევი ძარღვები. თუ რომ ძარღვები, რომლებიც ახვევიან ძარშემო ჯიქანს, სხვილებია, დაჭიმულები და იყოფებიან ბევრ ტოტებად, მაშინ ეს ამტკიცებს, რომ ძროხას სისხლი მოჭარბებული აქვს და მაშა სადამე მწველელიც იქნება.

### ა) მუცლის ძარღვები

მუცლის გვერდებზედ ძარღვები ადვილად შესამჩნეველები არიან, და ყველა მწერლები რაცხავენ კარგ ნიშნებად ძუძუების მოქმედების გასაგებად. ეს ძარღვები ისე დაჭიმულები არიან, რომ კაცს ეგონება ეს-ეს არი დასკდებიანო, ამასთანავე ბევრს ტოტებათაც იყოფებიან.

ესენი არიან თავი და თავი ნიშნები კარგი მეწველე ძროხის გასაგებად.

---

## ხელოვნურად გაპატივება მიწებისა

მიწას მოჰყავს მოსავალი ადგილობრივი პირობების დაგვარად, და შენიშნულია, რომ ამ ნაირ მიწებს ყოველ წელს ერთი და იგივე მცენარე არ მოჰყავთ ერთნაირად, არამედ რამდენმამე დრომ უნდა გაიაროს, რომ იმავე მიწამ იმ ნაირათვე მოიყვანოს რომელიმე მცენარის მოსავალი, როგორც პირველად. ასე იმიტომ მოხდება ხოლმე, რომ მცენარეები ითვისებენ მიწიდამ საზრდოდ საჭირო ნაწილებს და რაკი შემდეგში ველარ იპოვიან მიწაში საჭირო ნაწილებს—ხმებიან, ასე რომ აღარა სრულდებიან. აი აქედამ წარმოსდგება უმოსავლობა. რომ ასე არ მოხდეს, მიწა უნდა ხელოვნურად გავაპატიოთ და დავუბრუნოთ ის ნაწილები, რომლებიც შეითვისა მცენარემ, რისაგამოც მიწაში ის ნაწილები გამოილია. ამ ნაირად მიწის გასწორებას ჰქვიან გაპატივება. მიწა უნდა გაპატივდეს ისე, რომ იმაში მომეტებულად ის გამანოყიერებელი ნაწილები ჩავიდეს, რომლებიც საჭირონი არიან დასათესი მცენარისათვის. რადგანაც ხელოვნურად შენდებიან ტყეები, პურეული მცენარეები, მწვანილეული და მცენარეები, ამისათვის მათთვის დასათესი მიწებიც სხვა და სხვა პატივით უნდა გაპატივდნენ.

მიწების გამანოყიერებელი ნივთეულებანი არიან შემდეგნი:

I. მინერალური.

II. მცენარეული.

III. ცხოველისა და

IV. ნარევი ნივთეულებანი.

უპირველესი გამანოყიერებელი მინერალური ნივთეულებანი არიან შემდეგნი: კირი, მერგელი, ღიპსი, კირის გვარჯილა და სხვანი:

ყველა ეს მინერალური ნივთეულებანი ასუქებენ მიწებს და უბრუნებენ დაკარგულ ძალას და მოქმედებას.

კირი ყველაზედ კარგად აპატივებს და გავლენას ახდენს შავს მიწაზედ და როგორც პატივი ძველის-ძველადგანვე იცოდნენ.

კირი მოქმედობს შავ მიწაზედ მეხანიკურად და ხიმიურად. კირის მეხანიკური მოქმედებიდგან წარმოსდგება გაფხვიერება მიწაში მყოფი თიხის ნაწილებისა, მიწაში კირის არევით მოსავალს ერთი ორათ და ერთი სამათ უმატნია.

ყველა მცენარეები, რომლებიც იყვნენ დათესილნი კირნარევ მიწაში-თავიანთ ორგანიზმშიც (არსებაში) იპყრობენ კირის ნაწილებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კირი შევიდა მცენარეში წყალში გახსნის დროს.

კირით მიწის გაპატივება ხშირ ხშირად არ უნდა მოხდეს. ამით გაპატივება ათი ანუ თორმეტი წლის შემდეგ უნდა მოხდეს ხოლმე. განსაკუთრებით შემოდგომის ანიულებს უხდება კირით გაპატივება.

კირი ყველა ნაირი მცენარების ღირსებას აუმჯობესებს და ადრე მოჰყავს.

## მცენარეების პატივი

მცენარების პატივს ეძახიან იმათ ნაშთებს. ეს პატივი გაკეთდება შემოდგომაზედ ჩამოცვინული ფურცლებიდამ, რომლებიც დასველდებიან წვიმებისგან, რისაგამოც ისინი დაიწყობენ დალპობას და მით ანოყიერებენ გაზაფხულზედ მიწას, რომ კარგად მოიყვანოს მცენარეები. ამნაირივე პატივი გაკეთდება სხვა და სხვა მცენარეების ნაშთებიდამაც, როგორც მაგალითად თივიდან, ჩალიდამ, ბზიდამ, ჭაობის ბალახ-ბულახებიდამ, ხის ქერქებიდამ და სხვა მცენარეებიდამ, რომლებიც გაასუქებენ მამულს.

მცენარეებისგან გაკეთებული პატივი თავის მოქმედებას ორი სამი წლის შემდეგ იჩენს. იმისთვის რომ მცენარეების პატივმა კარგად იმოქმედოს მიწაზედ, ყველა მცენარეების ნაშთები უნდა ჩაყათოთ ორმოში, რომ დალპეს და მერე იმითი გააპატიეეთ მამულები.

## ცხოველების ხორცეულის პატივი

დახოცილი, დამხრჩვალი და სხვა რიგად მომკვდარი საქონლის, მფრინველების და ჭია-ღუის სხეულებიდამ კარგი პატივ კეთდება, რადგან ისინი იპყრობენ იმისთანა ნაწილებს, რომლებიც საჭირონი არიან მცენარების ალსაზრდელად.

რასაკვირველია, რომ ეს პატივი ჭირით და სხვა გადამდები სნეულებებით დახოცილი საქონლის ხორცეულებიდამ არ უნდა იყოს შემდგარი.

ცხოველები სიცოცხლეშივეც იძლევიან კარგ პატივს; ეს არის იმათი განავალი, რომელსაც ჩვენშიც ძალიან ხმარობენ. ამის გარდა სხვა ხელოვნურად გაკეთებულს პატივებს არამც თუ ხმარობენ, არამედ არც კი იციან რომ სხვა ნივთეულებებიდამაც კეთდება, რომელიც თუ უკეთესი არ არის საქონლის პატივზედ, ნაკლები მაინც არ არის.

## შეცდომის გასწორება

ოცდა მეერთე „გუთნის დედის“ ნომრის შინაარსი შეცთომით ოც და მეორე ნომრის შინაარსათაც დარჩა, მაშინ როდესაც ოც და მეორე ნომრის შინაარსს შეადგენენ შემდეგნი სტატიები: განცხადება „გუთნის დედის“ გამოსვლაზე. რა შემოსდის გლეხს მამულიდამ.—ნიადაგი და იმის სხვა და სხვა ნაირი თვისებანი.—ღირსება მწველელი ძროხისა.—საქონლის საკვებავი ბალახის მოყვანა.—


## განცხადება

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ა. ი. შახ-აზიზოვის წიგნის მალაზიაში კუკიის ხიდზე, პრიკაზის ქვეშ.

### მ ე ვ ე ნ ა ხ ო ბ ა

ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესობა ხელთმძღვანელობისათვის კახური ღვინის მაყენებლებისა, შედგენილი თ. ლ. ე. ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა გ ა ნ გამოცემული ა. ი. შ ა ხ - ა ზ ი ზ ო ვ ი ს ა გ ა ნ ფასი ორი მანეთი. აგრეთვე ისყიდება სხვა ქართული წიგნები,


*Изд. Кавк. Общ. Сел. хозяйства* მექ. ხელაძის სტამბა. რედ. და გამომცემელი ანტ. ფურცელაძე.